საქართველოს მთავრობის

დადგენილება №38

2024 წლის 22 თებერვალი

ქ. თბილისი

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის №389 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის №389 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2013, 010240030.10.003.017555) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. მე-5 მუხლის 4^1 პუნქტის:

ა) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ამტკიცებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის, მისი სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების დებულებებს;“;

ბ) „ზ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) „მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) პენიტენციური კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გამოსცემს ნორმატიულ აქტებსა (მათ შორის, ერთობლივ ნორმატიულ აქტებს) და ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;“.

2. მე-20 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო“ ქვეპუნქტი:

„ო) სამინისტროს სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეთა სპეციალური სამხედრო აღრიცხვის უზრუნველყოფა.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2024 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**